ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

2024 წლის 26 იანვარი

ქ. ხობი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის, მუნიციპალური ქონების მართვის,
ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

7. სხვადასხვა (საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,
(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ხუხია)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა 10,0 ათასი ლარით რატომ იქნა მერია დაჯარიმებული?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მერიის მიერ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო შპს „შარაგზამშენს“ დაეკისრა ჯარიმა, რომელიც გადაიხადა, შემდგომ გაასაჩივრა სასამართლოში, გამომდინარე იქედან, რომ, მათზე დაკისრებული თანხის ოდენობა გააპროტესტეს, სასამართლომ კი მერია ნაწილობრივ გაამტყუნა და შპს „შარაგზამშენს“ თანხა შეუმცირა, ხოლო მერიას 10,0 ათასი ლარის გადახდა დააკისრა შპს-ს სასარგებლოდ.

მ. ქარდავა, მ. იოსავა, ლ. ქავთარაძე - გამომსვლელები დაინტერესდნენ, მერიაზე დაკისრებული 10,0 ათასი ლარი შპს „შარაგზამშენისთვის“ უნდა დაებრუნებინათ, თუ სახელმწიფოს სასარგებლოდ იყო ჩასარიცხი?

ჯ. ბერაია - მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფილების განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შპს „შარაგზამშენთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამუშაოების ვადაგადაცილებიდან გამომდინარე, დაეკისრათ 230,0 ათასამდე ლარის გადახდა, რომელიც შეადგენდა, მთლიანი თანხის 0,01 მეასედს. ამან გამოიწვია შპს „შარაგზამშენის“ ხელმძღვანელობის პროტესტი და მიმართეს ფოთის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც, შპს „შარაგზამშენისთვის“ დაკისრებული თანხა ზედმეტად ჩათვალა და ჯარიმა 16,0 ათასამდე შეუმცირა, ხოლო საადვოკატო მომსახურების და სხვა ხარჯების გაწევის გამო, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას დააკისრა 10,0 ათასი ლარის გადახდა.

გ. კიკალიშვილი - მოქალაქე - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა ბავშთა ფონდისთვის თანხის გამოყოფაში და ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის პროგრამა შემუშავებული?

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ ბავშთა უფლებათა კოდექსი გულისხმობდა, ბავშთა ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებას, რომელიც დაფინანსებული იქნებოდა, როგორც დელეგირებული ფუნქციებით, ასევე მუნიციპალური ფუნქციებით. თუ მუნიციპალიტეტი, ამ მიმართულებით დააპირებდა რაიმე პროგრამის შემუშავებას და მის

განხორციელებას, დაფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო, რაც სეეხებოდა დელეგირებულ უფლებამოსილებას, თუ სახელმწიფო შეიმუშავებდა, რაიმე პროექტს ბავშთა უფლებების დაცვისთვის და ამ პროექტის განხორციელება დაეკისრებოდა მუნიციპალიტეტს, მაშინ პროექტის განსახორციელებლად თანხა ჩაერიცხებოდა მუნიციპალიტეტს და ამის შემდგომ მოხდებოდა დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველყოფა.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები და განისაზღვრა - 24193.0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 27950,4 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის შემოსულობები იზრდება კერძოდ: 1423,9 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები“ (მათ შორის: 1344,2 ათასი ლარი - გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან), საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა - „განახლებული რეგიონები“; 81,4 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „სხვა შემოსავლები“ (მათ შორის: 34,4 ათასი ლარი - ,,პროცენტი“, 17,0 ათასი ლარი - ჯარიმები, 30,0 ათასი ლარი არაწარმოებული აქტივები (მიწა); საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 5541,1 ათასი ლარი რომელიც მიიმართება პრიორიტეტის-,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივები“-ს ასიგნებაზე, კერძოდ: 5541,1 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ხუხია, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2023 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ხუხია, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობას სამუშაოების დაწყებიდან დასრულებამდე ახორციელებს და შესაბამის დოკუმენტაციას აფორმებს მერიის ზედამხედველობის სამსახური, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამშენებლო სამუშაოების შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდეს ამავე სამსახურის მიერ, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს სამუშაოების ინიციატორის - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის სამსახურებს შორის ფუნქციათა გამიჯვნისა და გადანაწილების მიზნით, მომზადდა დადგენილებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმა. საკანონმდებლო მაცნეში აქტის ატვირთვის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ პროგრამაში ატვირთულ დადგენილებაში არ არის ასახული

2 რუკა, აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ს. ბერაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ", სადაც გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2024 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

7. სხვადასხვა (საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება).

სხდომის თავმჯდომარემ მომხსენებლის გამოსვლამდე სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მ. ქარდავა დაეკავებინა, სხდომის თავმჯდომარის ადგილი და რის შემდეგაც დატოვა სხდომათა დარბაზი. დარბაზი ასევე დატოვეს სხდომაზე დამსწრე უმრავლესობის წევრმა საკრებულოს წევრებმაც.

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ფაქტიურად ცარიელ დარბაზში უწევდა გამოსვლა, რაც სამწუხარო იყო. ცარიელ დარბაზში საკრებულოს წევრის გამოსვლა, საქმის მიმართ, უმრავლესობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიუთითებდა, რაც კიდევ ერთხელ აღნიშნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიმართ არასწორი დამოკიდებულება იყო. უმრავლესობის წევრები, თუ ამ დამოკიდებულებით გააგრძელებდნენ მოღვაწეობას, მათ საკადრის პასუხს მოსახლეობა გასცემდა. გამომდინარე აქედან განაცხადა, რომ რა აზრი ქონდა ცარიელ დარბაზში მის გამოსვლას, როცა მის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს არ ითვალისწინებდნენ და უგულველყოფდნენ. დასასრულს განაცხადა, რომ ის მაინც გააგრძელებდა საქმის კეთებას, მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ, რაც არ უნდა ხელისშემშლელი პირობები შეექმნათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 26 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარი შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. ია ჯიმშკარიანი
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა ჯერგაია
15. ქეთევან კვირიკაშვილი
16. ლელა ადანაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. სერგო ბერაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ფელიქს წურწუმია
22. ჯანსუღი ჯიმშკარიანი
23. მალხაზი იოსავა
24. ბესიკ თამლიანი
25. ფრიდონ კუკავა
26. მაკა ჩარტია